შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის კომისია

2024 წლის 23 აპრილიდან აცხადებს კონკურსს

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის კონკურსის

ძირითადი პირობები

კანდიდატთა წარდგენის წესი/ნაწარმოების წარდგენისათვის დადგენილი პირობები:

- პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

- პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც საქმიანობენ ხელოვნების ან/და ლიტერატურის დარგში.

- პრემიის მოსაპოვებლად შესაძლებელია ავტორთა ჯგუფის/თანაავტორთა წარდგენა.

- პირი არ შეიძლება წარდგენილი იყოს ორი პრემიის მოსაპოვებლად ერთი ნაწარმოებისათვის.

- ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ.

- მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მას შემდეგ, რაც მას გაეცნობა ფართო საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, პრესის, რადიოს თუ ტელევიზიის საშუალებით.

- არქიტექტურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

- პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ მეცნიერს ან/და ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწარმოები გამოქვეყნდა საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებამდე და აკმაყოფილებს პრემიის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

- დაუშვებელია ერთი და იმავე ნაწარმოების განმეორებით წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები საკონკურსოდ არ იქნა დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) წარდგინება ნაწარმოების აღწერა-დახასიათებითა და იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა. დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი;

ბ) საკონკურსო ნაწარმოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები და/ან სხვა მასალა ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;

გ) ლიტერატურული ნაწარმოები - მატერიალურად წარმოდგენის შემთხვევაში 9 ეგზემპლარად (მათ შორის, ერთი ორიგინალი მაინც). კამერული მუსიკალური ნაწარმოების კლავირი - 2 ეგზემპლარად, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები;

დ) არქიტექტურული ნაწარმოების შემთხვევაში - ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

ე) კანდიდატის ბიოგრაფია (CV);

ვ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი.

საკონკურსო განაცხადისა და თანდართული მასალის მიღების ვადა

და ადგილი:

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაწარმოებები მიიღება 2024 წლის 23 აპრილიდან - 31 მაისის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25, საფოსტო ინდექსი - 0108, ასევე ელექტრონულად, მისამართზე: info@president.gov.ge.

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (ცხელი ხაზი): + 995 32 2288888